# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/174

ქ. თბილისი 26 ნოემბერი 2021 წ.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისს მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2021 წლის 26 ოქტომბრის საბჭოს სხდომის №9 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ნოემბრის №01-05-02/33 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მოდიფიცირების სახით შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: სამკერვალო წარმოება; ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები; საოფისე საქმე; ჰაერის კონდიცირება; მექატრონიკა; სარკინიგზო გადაზიდვები; ღონისძიების ორგანიზება; გრაფიკული დიზაინის შესრულება; მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი; სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა; ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება; ხის მხატვრული დამუშავება; ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება; ავტომობილის ძრავას შეკეთება.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**